ხელშეკრულება №247
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(სამუშაოს შესყიდვა)

1 ოქტომბერი 2014 წელი

ქ. ცაგერი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცაგერის მუნიციპალიტეტი (შემდგომში-შემსყიდველი) ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის რევაზ ბენიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „მონტეკრისტო3 "** (შემდგომში – მიმწოდებელი) დირექტორის **ზაალი ყურაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით(საქ.მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის N 1707 განკარგულებით) **სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები (კლასიფიკატორის კოდი 45300000)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია **ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ალპანაში „აჭარის" უბანში საირმის ღელის ხეობაში დაზიანებული წყალსადენის აღდგენის სამუშაოები"–ს შესყიდვა.**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **45000 (ორმოცდახუთი ათასი)ლარს** დღგ–ს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2 სამუშაოების შესასრულებლად მოწოდებული მასალების ხარისხი შეთანხმებული იქნება შემსყიდველთან.

4.3 მიმწოდებელს სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განესაზღვროს 1(ერთი) წელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან,რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრა

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **40 კალენდარული დღით** .

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ცაგერი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა№2;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით

6.2. საბოლოო სამუშაოების შესრულებამდე „მიმწოდებელი" უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა №2 და ფორმა №3) და შესაბამისი ანგარიშფაქტურა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 ობიექტის საბოლოო მიღება ჩაბარება მოხდება საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. ექსპერტის მომსახურების ხარჯებს გასწევს შემსყიდველი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 საბოლოო ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქ.ცაგერი

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან **40 კალენდარულ დღეში.**
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2014 წლის 10 დეკემბრამდე.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3. 14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი–დავით ჩიქოვანი; ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი – თენგიზ ბურჯალიანი; მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთ. სპეციალისტი-ბადრი გუგავა; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურული-საამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - თენგიზ მეშველიანი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტი

მისამართი

ქ. ცაგერი რუსთაველის ქ.№69

ს/ს. „ლიბერთი ბანკის“

ცაგერის ფილიალი

ბ/კოდი: 220 101 447

ა/ა № GE52LB0120172720783000

ს/კოდი: 242 574 460

მიმწოდებელი:

შპს „მონტეკრისტო3“

დირექტორი: ზაალი ყურაშვილი

მისამართი

ცაგერი. კოსტავას ქ.N24

ს ს/ს. „ლიბერთი ბანკი“

LBRTGE22

ა/ა № GE36LB0113196485080000

ს/კოდი: **442569837**

17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტის

გამგებლი:

რ.ბენიძე

/----------/

მიმწოდებელი:

შპს „მონტეკრისტო3“

დირექტორი: ზაალი ყურაშვილი

/----------/